

თანადაფინანსების ხელშეკრულება № \_\_\_\_\_

ქ. ბათუმი

\_\_\_\_\_ 2023 წელი

**1. პრეამბულა**

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - (შემდგომში სამინისტრო), დაფინანსების გამცემი, წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით ს/კ \_\_\_\_\_ (მისამართი ქ.ბათუმი, \_\_\_\_\_) და მეორეს მხრივ, ბენეფიციარი \_\_\_\_\_, პ/ნ / ს/კ \_\_\_\_\_ (მისამართი: \_\_\_\_\_). თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად მხარეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

**2. ტერმინთა განმარტება:**

- 2.1. **სამინისტრო** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
- 2.2. **მინისტრი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი;
- 2.3. **ბენეფიციარი** - \_\_\_\_\_ პ/ნ / ს/კ \_\_\_\_\_ მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
- 2.4. **ხელშეკრულების მხარეები** - სამინისტრო და ბენეფიციარი;
- 2.5. **განაცხადი** - სამინისტროში წერილობით წარდგენილი პროექტი;
- 2.6. **პროექტი** - საწარმოს შექმნის ან/და აღჭურვის ან/და გაფართოების გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერს მიმდინარე მდგომარეობას, მიზნებს, ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსებს და აუცილებელ ქმედებებს;
- 2.7. **პროგრამა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „0716 - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“;
- 2.8. **ღონისძიება** - პროგრამის ღონისძიება „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“;

**2.9. ღონისძიების განხორციელების წესი** - მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ განხორციელების წესი“

**2.10. თანადაფინანსება** - სამინისტროს მიერ ბენეფიციარისთვის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით გადახდილი/გადასახდელი მიზნობრივი თანხა;

**2.11. ბენეფიციარის თანამონაწილეობა** - პროექტის განსახორციელებლად თანადაფინანსების გარდა, ბენეფიციარის მიერ გასაწევი ფინანსური რესურსი, რომელიც ბენეფიციარის მიერ გამოიყენება თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მხოლოდ პროექტის მიზნებისთვის თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიღებული საქონლისა და მომსახურებისათვის, უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;

**2.12. უზრუნველყოფილი ქონება** - ბენეფიციარის მიერ პროგრამის მიზნების შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონება, რომელიც წარმოადგენს ბენეფიციარის მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას.

**2.12.1. უძრავი ქონება**, რომელზეც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა ქონების შეფასებაზე და აღნიშნული ქონება სამინისტროს სასარგებლოდ უნდა დაიტვირთოს იპოთეკით, რომელიც გავრცელდება ასევე პროექტის ფარგლებში შექმნილ უძრავ ქონებაზეც.

**2.12.2. სამინისტრო განახორციელებს უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას**, თუ პროექტის ფარგლებში შექმნილი მოძრავი ქონების მეშვეობით ხდება იმავე უძრავ ქონებაზე განთავსებული საწარმოს ამოქმედება, გაუმჯობესება, განვითარება ან/და გაფართოება, ხოლო მოძრავი ქონების ექსპლუატაციაში შეყვანის შემდგომ - იპოთეკის გაუქმებას და მოძრავი ქონების გირავნობით დატვირთვას.

**2.13. საქონელი** - პროექტის ფარგლებში შესასყიდი ძირითად საშუალებებს მიკუთვნებული მანქანა-დანადგარები და ინვენტარი;

**2.14. მომსახურება** - პროექტის ფარგლებში შენობა-ნაგებობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა;

**2.15. გაწეულ მომსახურებაზე საექსპერტო დასკვნა** - შესრულებული სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სამონტაჟო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების (ფორმა №2) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის/სერტიფიკატის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი დასკვნა თანდართული დოკუმენტებით;

**2.16. მიმწოდებელი** - ბენეფიციარისთვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საქონლის ან/და მომსახურების მიმწოდებელი;

**2.17. საავანსო საბანკო გარანტია** - გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ. ამასთან, საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საავანსო ანგარიშსწორების ფარგლებში გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი საქონლის მიწოდებისთვის განსაზღვრულ ვადას;

**2.18. ადგილზე გასვლით მონიტორინგი** - ხელშეკრულების მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პროექტის განხორციელების ადგილზე მიწოდებული მომსახურების ან/და საქონლის მონიტორინგი, რაზედაც ხელშეკრულების მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ბენეფიციარის მიერ დგება შესაბამისი მონიტორინგის აქტი თანდართული ფოტომასალით.

**2.19. დანართები:**

**2.19.1. დანართი №1** - ბიუჯეტი;

**2.19.2. დანართი №2** - წარმოებისა და გაყიდვების წლიური ფინანსური გეგმა;

**2.19.3. დანართი №3** - პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი;

**2.19.4. დანართი №4** გასაწევის მომსახურების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

**2.19.5. დანართი №5** - პროექტის ფარგლებში შესასყიდ საქონელზე მიმწოდებლის მიერ გაცემული ინვოის(ებ)ი.

**3. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

**3.1.** წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის, ამ ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ \_\_\_\_\_ მუნიციპალიტეტში (მიწის ნაკვეთის ს/კ \_\_\_\_\_) დასახლება \_\_\_\_\_ მოწყობა. სულ, ღირებულებით - არანაკლებ \_\_\_\_\_(\_\_\_\_\_) ლარი;

**3.2.** ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხა შეადგენს არანაკლებ - \_\_\_\_\_ ლარს;

**3.3.** სამინისტროს თანადაფინანსების თანხა შეადგენს არაუმეტეს - \_\_\_\_ლარს, მათ შორის:

**3.3.1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში - \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარს;

**3.3.2.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში - \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარს.

#### **4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

##### **4.1. ბენეფიციარი უფლებამოსილია:**

**4.1.1.** მოითხოვოს თანადაფინანსების მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

##### **4.2. ბენეფიციარი ვალდებულია:**

**4.2.1.** უზრუნველყოს განაცხადის, წინამდებარე ხელშეკრულების, მოქმედი კანონმდებლობისა და გეგმა-გრაფიკის (დანართი №3) შესაბამისად პროექტის განხორციელება, კერძოდ:

ა) ბენეფიციარის თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან \_\_\_\_\_ თვის ვადაში;

ბ) სამინისტროს თანადაფინანსების ფარგლებში განსახორციელებელი მომსახურების ან/და საქონლის მიღება - ხელშეკრულების გაფორმებიდან \_\_\_\_\_ თვის ვადაში;

გ) საწარმოს ამოქმედება - ხელშეკრულების გაფორმებიდან \_\_\_\_\_ თვის განმავლობაში.

დ) შეუნარჩუნოს საწარმოს პროფილი და უზრუნველყოს მისი ფუნქციონირება საწარმოს ამოქმედებიდან \_\_\_\_\_ წლის განმავლობაში;

ე) საწარმოს ამოქმედებიდან, პროექტის ფარგლებში (არსებული საწარმოს შემთხვევაში - დამატებით) მუდმივად დაასაქმოს \_\_\_\_\_ საქართველოს მოქალაქე, ხოლო სეზონურად \_\_\_\_\_ საქართველოს მოქალაქე;

**4.2.2.** უზრუნველყოს ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის გახარჯვა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და მიმწოდებელთან/მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სამინისტროსათვის წარმოდგენა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

**4.2.3.** უზრუნველყოს სამინისტროს მხრიდან თანადაფინანსების თანხის ბენეფიციარის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში

მიღებული თანხის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე მიზნობრივი დანიშნულებით ჩარიცხვა და ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების სამინისტროში წერილობით წარმოდგენა;

**4.2.4.** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებელია ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე (მათ შორის: მშენებლობის ნებართვა; უსაფრთხოების ნორმები; ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობა, ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენება; შენობა-ნაგებობების, მანქანა - იარაღებისა და ინვენტარის ექსპლუატაციაში მიღება; სურსათის უვნებლობა და ხარისხი და სხვა); HACCP-ის (საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სისტემის დანერგვაზე (საჭიროების შემთხვევაში);

**4.2.5.** პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენაზე;

**4.2.6.** უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსების თანხების აღრიცხვა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და პროგრამის პირობების შესაბამისად;

**4.2.7.** უზრუნველყოს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა, სამინისტროს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში (მათ შორის მესამე პირის მეშვეობით), სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადაში, განხორციელებული პროექტის შესახებ უტყუარი, დროული და სრული ინფორმაციის (მათ შორის დასაქმებული პირების და საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ) მიწოდება;

**4.2.8.** სამინისტროს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს ვიდეო - ფოტო მასალა და ინფორმაცია დაფინანსებული პროექტის და დაფინანსებული პროექტის ფარგლებში წარმოებული პროდუქციისა და მიღწეული შედეგების შესახებ სამინისტროს მხრიდან მისი დამუშავებისა და გამოქვეყნების მიზნით;

**4.2.9.** წარმოების დაწყებიდან, ორ შემთხვევაში, კერძოდ: პირველ შემთხვევაში - 12 თვის შედეგებზე, აღნიშნული პერიოდის გასვლიდან 2 თვის ვადაში, ხოლო მეორე - შემთხვევაში 24 თვის შედეგებზე, აღნიშნული პერიოდის გასვლიდან 2 თვის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს საწარმო მაჩვენებლების (წარმოებული პროდუქცია, შემოსავლები რეალიზაციიდან, გაწეული ხარჯები, ფინანსური შედეგი და სხვ.) ხელშეკრულების დანართი №2-ით (ფინანსური გეგმა) განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შესაბამისობაზე (მ.შ. მაჩვენებლებთან მიმართებით გადახრა და გადახრის

განმაპირობებელი ფაქტორები) სსიპ - ბუფალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია. ამასთან, იმავე დოკუმენტში ასახული უნდა იქნეს დასკვნა პროექტის საერთო მიზნობრიობის შესრულების შესახებ;

**4.2.10.** წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.1. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირობებით, განახორციელოს პროექტის ფარგლებში შექმნილი უძრავი ან/და მოძრავი ქონების იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთვა სამინისტროს სასარგებლოდ, რომლის საბაზრო ღირებულება უნდა აღემატებოდეს სამინისტროს მიერ გაცემულ დაფინანსებას (აღნიშნულთან დაკავშირებულ ხარჯს, მისი წარმოქმნის შემთხვევაში, გაიღებს ბენეფიციარი);

**4.2.11.** წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში, პროექტის განხორციელების ადგილზე განათავსოს საინფორმაციო დაფა, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია - „პროექტი ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური მხარდაჭერით“ (საინფორმაციო დაფის შექმნისა და განთავსების ხარჯებს გაიღებს ბენეფიციარი);

**4.2.12.** აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს ან/და სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებების მიერ ან მათი ეგიდით გამართულ ღონისძიებებში, მათ შორის გამოფენებში და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით წარმოადგინოს თანადაფინანსების ფარგლებში შექმნილი საწარმოს პროდუქციის ნიმუშები, მოაწყოს სტენდი და ა.შ.

### **4.3. სამინისტრო უფლებამოსილია:**

**4.3.1.** ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, წინასწარ შეტყობინების გარეშე, განახორციელოს თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობისა და პროექტის განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგი, პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე მონიტორინგითა და დოკუმენტური შემოწმებით (დადებითი დასკვნის შემთხვევაში აღნიშნულ ხარჯს გაიღებს სამინისტრო, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ხარჯს გაიღებს ბენეფიციარი);

**4.3.2.** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**4.3.3.** 4.3.3. ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, მესამე მხარეს, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების ნაწილში;

#### **4.4. სამინისტროს ვალდებულება:**

**4.4.1.** წინამდებარე ხელშეკრულებით და პროგრამის ღონისძიების განხორციელების წესით განსაზღვრული პირობებით განახორციელოს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის თანადაფინანსება.

### **5. სამინისტროს მიერ დაფინანსების გაცემა**

ბენეფიციარის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების ფარგლებში, სამინისტროს მიერ ბენეფიციარის თანადაფინანსება განხორციელდება მიწოდებულ/მისაწოდებელ საქონელზე ან/და გაწეულ/გასაწევ მომსახურებაზე ბენეფიციარის თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების შემდგომ და შემდეგი პირობებით:

**5.1.** პროექტით გათვალისწინებული მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, რაზედაც ბენეფიციარის მიერ სამინისტროს უნდა წარედგინოს:

ა) ბენეფიციარსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი მომსახურების ან/და საქონლის მიწოდებაზე;

ბ) გაწეულ მომსახურებაზე დადებითი საექსპერტო დასკვნა;

გ) მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარისათვის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა მოძრავი ქონების შეფასებაზე (საქონლის მიწოდების შემთხვევაში);

დ) ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი;

**5.2.** სამინისტროს გადაწყვეტილებით, საავანსო ანგარიშსწორებით, რაზედაც ბენეფიციარის მიერ სამინისტროს უნდა წარედგინოს:

ა) მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარისათვის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და განახლებული ინვოისი (საქონლის მიწოდების შემთხვევაში) ან/და ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში);

ბ) ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხაზე მიმწოდებელთან უნაღდო ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საავანსო თანხის ოდენობის საავანსო საბანკო გარანტია, საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საავანსო ანგარიშსწორების ფარგლებში გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი საქონლის მიწოდებისთვის განსაზღვრულ ვადას;

**5.3.** მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, საავანსო ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნების დაფარვის მიზნით, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში ბენეფიციარის მიერ სამინისტროს უნდა წარედგინოს ამ ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები.

**5.4.** ამ პუნქტის 5.1 და 5.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება ღონისძიების განხორციელების წესთან და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების, ხელშეკრულების მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პროექტის განხორციელების ადგილზე მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების მონიტორინგისა და პროექტის ფარგლებში შექმნილი მოძრავი ქონების სამინისტროს სასარგებლოდ გირავნობით დატვირთვის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტის შესაბამისად.

**5.5.** ამ პუნქტის 5.1. და 5.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადა შეადგენს იმავე ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეს.

## **6. დამატებითი პირობები**

**6.1.** ბენეფიციარის მიერ პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქონება წარმოადგენს ბენეფიციარის საკუთრებას, ხოლო სამინისტრო ახორციელებს თანადაფინანსებას;

**6.2.** იმ შემთხვევაში თუ, ბენეფიციარის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დასაფინანსებელი საქონლის ან/და მომსახურების ღირებულება შეიცვლება, შემცირების შემთხვევაში სამინისტროს თანადაფინანსება შესაბამისი პროპორციით მცირდება, ხოლო ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია ფასნამატი გადაიხადოს საკუთარი სახსრებით;

**6.3.** ბენეფიციარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ახდენს პროექტის ფარგლებში შექმნილი უძრავი და მოძრავი ქონების იპოთეკით/გირავნობით დატვირთვას (აღნიშნულთან დაკავშირებულ ხარჯს, მისი წარმოქმნის შემთხვევაში, გაიღებს ბენეფიციარი). ამავდროულად, დასაშვებია სამინისტროს იპოთეკა/გირავნობა იყოს რიგით მეორე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ



პირველი რიგის იპოთეკარია/მოგირავენა სესხის გამცემი ბანკი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების მიზნებისთვის წარმოქმნილი ვალდებულების უზრუნველსაყოფად;

**6.4.** ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების დროული შეუსრულებლობით შესაბამის საბიუჯეტო წლის ასიგნების ფარგლებში გათვალისწინებული თანადაფინანსების პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

**6.4.1.** ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადებისა და სამინისტროს მხრიდან შესაბამისი წლის პროგრამაში თანადაფინანსების თანხის დაზუსტება;

**6.4.2.** ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადების დაზუსტება და ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტისა და 5.3 პუნქტის შესაბამისად, საავანსო ანგარიშსწორების განხორციელება;

**6.4.3.** წინამდებარე ხელშეკრულების 6.4.1 და 6.4.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

## **7. მხარეთა პასუხისმგებლობა**

**7.1.** იმ შემთხვევაში თუ, ბენეფიციარი წარმოდგენილი ფინანსური გეგმის ფარგლებში (დანართი №2) ვერ უზრუნველყოფს, საწარმოს ფუნქციონირებას სამინისტრო უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს თანადაფინანსების თანხა. ასევე თუ ბენეფიციარის მიერ ვერ მოხერხდება თანადაფინანსების თანხის უკან დაბრუნება, სამინისტრო ცალმხრივად შეწყვეტს ხელშეკრულებას და გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება განხორციელდება გირავნობის/იპოთეკის საგნის რეალიზაციით.

**7.2.** ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სამინისტროს მხრიდან განხორციელდება სათანადო ღონისძიებები ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს მიერ ბენეფიციარისთვის თანადაფინანსების მიზნით ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად;

**7.3.** ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარის ან მესამე პირის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ ან/და განსახორციელებელ ოპერაციებზე ფინანსური ან რაიმე სხვა სახის ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა;

**7.4.** წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.; 8.2.; 8.3. და 8.4. პუნქტების საფუძველზე, სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში ბენეფიციარს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული თანხის 3%-ის ოდენობით;

**7.5.** წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ბენეფიციარს ვალდებულების შესრულებისთვის განესაზღვრება დამატებითი ვადა, ხოლო დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტროს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხი;

**7.6.** წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.1. პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს ვალდებულების შესრულებისთვის განესაზღვრება, დამატებითი ვადა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული თანადაფინანსების თანხის 0.02% -ის პირგასამტეხლოს დარიცხვის პირობით.

## **8. ხელშეკრულების შეწყვეტა**

**8.1.** ბენეფიციარი უზრუნველყოფს, თანადაფინანსების თანხის გახარჯვას წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად. ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნული პირობებისა და პროცედურების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**8.2.** პროექტის დასრულების შესაძლებლობის დაბალი სანდოობის ან სანდოობის არ არსებობის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**8.3.** პროექტის განხორციელების პროცესში ბენეფიციარის მხრიდან პროექტის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამინისტროს მხრიდან განხორციელდება თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა;

**8.4.** ბენეფიციარის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, 4.2.3.; 4.2.9.; 4.2.10.; 7.1.; 7.5. და 7.6. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**8.5.** ბენეფიციარის შრომისუუნარობის ან გარდაცვალების შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე გადავა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ზე მისი (მათი) თანხმობის შემთხვევაში, ხოლო უარის შემთხვევაში განიხილება

თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი და გატარდება წინამდებარე ხელშეკრულების 8.9. პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**8.6.** ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს:

**8.6.1.** ვადამდე, ნებისმიერი მიზეზით, მხარეების მიერ შეთანხმების შემთხვევაში;

**8.6.2.** კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**8.7.** ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს გაეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე;

**8.8.** ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც წერილობით უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ ხუთი კალენდარული დღით ადრე.

**8.9.** ბენეფიციარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს თანადაფინანსების თანხა, ასევე თუ ბენეფიციარის მიერ ვერ მოხერხდება თანადაფინანსების თანხის უკან დაბრუნება, გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება განხორციელდება გირავნობის/იპოთეკის საგნის რეალიზაციით.

## **9. კონფიდენციალური ინფორმაცია**

**9.1.** მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

**9.2.** კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება:

**9.2.1.** სახელმწიფო/საჯარო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან ინფორმაცია, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არის/გახდება საჯარო;

**9.2.2.** ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და მხარეთა ხელშეკრულება;

**9.2.3.** ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

**9.3.** სამინისტროს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პროექტის შინაარსის, მიზნობრიობის დასაბუთების, წერილობითი ისტორიები, სურათები, ვიდეო მასალა დაფინანსებული პროექტის და ბენეფიციარის გამოცდილების შესახებ გამოიყენოს სარეკლამო მასალებში, მარკეტინგული ან სხვა საინფორმაციო მიზნებისთვის, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სამინისტროს კუთვნილ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.

## **10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საწარმოს პროფილის შენარჩუნების ვადის გასვლიდან 90 კალენდარული დღის ვადით.

## **11. ფორს მაჟორი**

**11.1.** ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, „ფორს - მაჟორული“ გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს;

**11.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს - მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

**11.3.** მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება „ფორს - მაჟორული“ გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

## **12. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

**12.1.** ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ერთვის ხელშეკრულებას;

**12.2.** ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება სამინისტროს მხრიდან თანადაფინანსების თანხის გაზრდა ან სამინისტროს პირობების გაუარესება, დაუშვებელია.

## **13. შეტყობინების ჩაბარების წესი**

**13.1.** ხელშეკრულება არის უპირატესი ძალის მქონე მხარეებს შორის მის ხელმოწერამდე არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან და მიმოწერასთან (მათ შორის ელექტრონული) მიმართებაში;

**13.2.** ხელშეკრულებით შეტყობინება განხორციელებულად მიიჩნევა მისი წერილობითი/ელექტრონული ფორმით მიწოდების შემთხვევაში. შეტყობინება მხარეებს უნდა მიეწოდოს კურიერის, დაზღვეული წერილის ან ელ.ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე / ელ. ფოსტის მისამართზე. გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება მიმღებისათვის მიწოდებულად, თუ შეტყობინების გამგზავნს არ უბრუნდება ტექნიკური/პროგრამული საშუალებებით შექმნილი ავტომატური შეტყობინება გაგზავნილი ელექტრონული ფოსტით ვერ გაგზავნისა და მიმღებთან არ მისვლის თაობაზე;

**13.3.** ხელშეკრულება ვრცელდება მხარეთა სამართალმემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე, მაგრამ ბენეფიციარს სამინისტროს თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება;

**13.4.** ხელშეკრულებაში მითითებული მისამართები და საკონტაქტო რეკვიზიტები შეიძლება შეიცვალოს, ასეთ შემთხვევაში მხარეებმა წერილობით უნდა შეატყობინონ შეცვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის ძველ მისამართზე შესაბამისი კორესპონდენციის გაგზავნა ჩაითვლება ჩაბარებულად.

**13.5.** ხელშეკრულების ერთ - ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთ უფლებაზე უარის თქმას.

## **14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

**14.1.** ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

**14.2.** მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

**14.3.** ყველა სხვა საკითხი, რომელიც პირდაპირ არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **15. სხვა პირობები**

**15.1.** წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან;

**15.2.** ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

**15.3.** ბენეფიციარი სრულად პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე;

15.4. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ამ ხელშეკრულების დანართი №1: №2; №3; №4; №5;

15.5. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული სიტყვა „ხელშეკრულება“ გულისხმობს მის დანართებსაც. ხელშეკრულების ტექსტსა და დანართებს შორის წინააღმდეგობისა და შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დანართის პირობებს;

### 16. მხარეთა რეკვიზიტები

<b>„სამინისტრო“</b> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ს/კ _____ მისამართი: _____ _____	<b>„ბენეფიციარი“</b> ს/კ / პ/ნ _____ მისამართი: _____ <b>დასახელება</b>
ხელმოწერა _____ <b>საბანკო რეკვიზიტები</b> _____	ხელმოწერა  უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი  <b>საბანკო რეკვიზიტები</b> _____